


6981

გეგმა. შ. 1  
ქართული  
საბჭოთა

# საბაღუღი



▲
 საშენებლო-ეკონომიკური  
 მუშაკთა კავშირისთვის

✂
 თბილისი      № 14.      1916 წ.      ✂

# მწიკლე

წელიწადი 80-XII.

№ 14

თბილისი, 1916 წ.



242



მუხრანის სტუმრები



# შ ი ნ ა ა რ ს ი

I—მურიას სტუმრები,—სურათი . . . . .	1
II—ყვავილი,—ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	3
III—კატის ნაამბობი,—დ. ძეძამიძისა . . . . .	5
IV—ნაკადული,—ლექსი გ. თემისხეველისა . . . . .	16
V—ბედის მაძიებელი წყალობა,—ზღაპარი დ. კილოსანიძისა . . . . .	17
VI—გასართობი: აკროსტიხი, რებუსი და ახსნა . . . . .	24



# ყ ვ ა ვ ი ლ ი

(მეტეა ეკე ფიჭვნას)

ერთი პეტის პეტი ცელები  
დედას რომ არ გაებუტა,  
გამოვარდა, ამომგლიჯა  
და გულმკერდზე მიმისუტა.

მიმისუტა ისე მაგრა  
როგორც დედამ შეილის  
რომ კინაღამ შემიგუბა  
ხვეწნა-კოცნით გიქმა სულა.



რა შემატეო ვწუსდებოდი,  
დაღონდა და ცრემლი ღვარა;  
გადმიტანა სსჯის ბაღჩაში  
და შავ მიწას მიმაბარა.

მიმაბარა იმ შავ მიწას,  
ვინცა მზრდის და ვინცა მბადებს,  
თუ დამწკნარი დამინასა  
იკვნესებს და იავადებს.

მიწა იყო მთლად გამშრალი,  
დიდ სიცხეებს ამოეწო,  
სისველე და სინოტივე  
აღარ ჰქონდა ერთი ბეწო.

სსკა ბაღდა რომ დაძინასა,  
 შეშეკითხა:—რასა სჩივი?  
 რატომ შენ კი არ დადანებ  
 და არ გაგაქვს ძთლად ღივლივი?!

ესა სთქვა და გაექანა,  
 არ დაუმრავს მეტად ესა;  
 მოიბინა ისევ მალე,  
 წვალი გუბედ შემოენა.

და მას შემდეგ კვლავ ვლანებ,  
 მივდეგ-მოვდეგ სიოს ნელა;  
 გაისარდე, გაიხარე,  
 ჩემო მსსნელო ბიჭუკელა:..

შიო მღვიმელი





## კატის ნააზოვი



1  
ე და ჩემი მამა თივასე ვიწვექით ერთი ძველი გოდრის ძირში, სადაც ხშირად მოდიოდა სოლმე დედა და ბუბუს კვაწოვებდა. თუცა ჩვენ თვალები დახუჭული გვექონდა, მაგრამ დედის მოახლოვებას უოველთვის ვტუობილობდით. რომ შემოსტებოდა გოდრის ჰირსე, ჩამოგვძახებდა:

—ძიანუ! როგორა ხართ, ჩემო თვალის ჩინებო?

ჩვენ მაშინვე წინავიღით უხასუხებდით:

—ბუბუ გვძია, დედა, ბუბუ!

ისიც ჩამოსტებოდა და მოკვანწოვებდა ბუბუს. მერე ალერსსა და ლოკვას დაგვიწუებდა. ჩვენ ნეტარებისაგან სმას გაგვძენდავდით სოლმე.

ერთხელ, მკონია ჩვენი დაბადების მეშვიდე დღეს იყო, დედამ დაიკვირნა. მე მოვინდომე დამენახა, სად ვიყავი და როგორი იყო ის ქვეყანა, სადაც მე და ჩემი ძმა მოვეუდით. ქუთუთოები ისე დამკრობოდა, რომ ერთმანეთს ძლივს დავაშორე. გავაბეურე თვალები, მაგრამ სიმწარისაგან საშინლად შევჩნავლე და ისევ დავსუსტე. რომ არ გამეხილა, ისა სჯობდა: თითქოს ნემსები გამიუარეს თვალებშიო, ისე მეჩოთირა სინათლე.

ჩემი უბედურება ამით არ გათავდა: ამ დროს მარანში ჩვენი სახლის ჰატრონის ცოლი თველე ღვინის ამოსადებად შემოსულიყო, მოსიკო და ეკაც თან შემოჭეოლოდნენ. ბავშვებმა რომ ჩემი წყნავილი გაიგონეს, მოცვივდნენ გოდორთან და ასტესეს ერთი განგამი:

— დილილმე! რა ლამაზი კნუტები დაუწრია ჩვენს ციცოს, აი ეს თეთრგულა ჩემია!

— კარგი, მეორე, ზოლებიანი ტანი რომ აქვს, ის ჩემი იქოს! — სთქვა ეკამ.

ამ არჩევანში რომ იუვენ, თან ჯოხით აქეთ-იქით გვაბრუნებდნენ, რომ კარგად დავეთვალეოებინეთ.

ჯოხის მიკარებაზე საშინელ ტკივილსა ვგრძნობდით და ვტიროდით. ამ დროს მოვიდა დედა. ბავშვები რომ დაინახა, ერთი კი შემოგვძახა ალელგებულის სმით: „შიააუ!“ და უკანვე მოჭკურცხლა.

ჩვენ ტირილს უჯრო უმატეთ. ეკა და მოსიკო წავიდნენ, მაგრამ დედა არსადა სჩანდა. ბოლოს, როცა ლოდინით გული გადაგველია, დედა გოდორში ჩამოსტა, კისერში ჰირი ჩამავლო და სადაც გამაქანა. მალე ჩემი ძმაც იქ მოიყვანა, მუშუ მოგვაწოვა და მერე გვიოხრა:

— ჩუმად იყავით, შვილებო, თორემ ბავშვები აქაც მოგაკნებენ და მოსვენებას აღარ მოგცემენ!

ძალიან მოძინდა ასალი ბინის დათვალიერება. დიდი სიფრთხილით გაგახსილვე თვალები. აქ სინათლე ისეთი ნეკსებიანი აღარ იყო, როგორც ჰირველ ბინასე. ჯერკი ვერაფერი დავინახე, მაგრამ, როცა თვალი შევაჩვიე, გავარჩიე, რომ მე და ჩემი მძა სარდაფის ერთს კუთხეში ვიწვეით რაღაც ძველმანებზე. წინაც რაღაც გვეფარა; მგონია მწნილის ქილა იყო.

მართალია, დედამ დაგვაროგა, რომ ჩუმი ვყოფილიყავით, მაგრამ, რა წამს ის თავს დაგვანებებდა, ჩვენ მაშინვე წინავილს ავტყუდით სოლმე: მარტობისა გვეშინოდა და იმიტომ. ახლა რომ მოძაგონდება კი სიცილადაც არა მყოფნის, მაგრამ მაშინ კი ეოველი მოძრობა და სმაურობა შიშის ზარსა მკვრიდა: თავკი გაირბენდა—ჩვენ უძლეველი ღოძი გვეგონა, რომელსაც შეუძლია მოგვეარდეს და ეელები დაგვლადროს; ბაბაჭუბ გაბაბდა თავის „ჭრუბა-ჭრუბა“-ს—გვეგონა, რომ უდიდესი ჩვენი მტერი გრგვინავდა; ბუხი რა არის, ბუხი, იმისი ბზუილიც კი გულს გვიხეთქავდა.

სარდაფში თითქმის სამ კვირამდის დავუვათ. რამდენიც ვიზრდებოდით, ჩვენს სმას იმდენი ძლიერება ემატებოდა. ჩვენ კი წამდაუწუმ ვწინაოდით. ამიტომ მოსიკომა და ეკამ აქაც მოგვაპურეს უურადღება.

— უჰ, რა კარკი კნუტები გამსდარან!—სთქვა ეკამ:—როგორი ბუნხულები არიან! თვალებიც აუსეღიათ!

ეკამ მე დამავლო სელი, ჩემ მძას—მოსიკომ ღ სახლში წავვივებანეს. დედამ რომ გავიკო ჩვენი სმა, მაშინვე ჩვენთან მოვარდა.

— მოსიკო, წადი მზარეულს ჯამზე წვენი დახსმევენე, ზური ჩაუეარე და კნუტებს ვაჭამოთ, თორემ საწულებს ეტეობათ ძალიანა შიანთ: აი, როგორა ჩხავინ!—სთქვა ეკამ.

მოსიკომ მართლა ჯამით რაღაცა მოარბეინა და იატაკზე დადგა. დედა ჯამს ახლო მიუჯდა, მაგრამ ჰირიც არ ახლო, სულ ჩვენ შემოგვეურებდა და გულს გვიკეთებდა:





— სუ გემინიანო, შვილებო, ბავშვები არაფერს დაგიძაგებენ!

ეკაპა და მოსიკომ ჯამთან დაგვსხეს. მისგან რაღაცა თხელი აღიოდა მადლა. მაშინ კი ვერ მივხვდი, რა იყო, მაგრამ მერე გავიგე, რომ ადამიანები იმას ორთქლს ეძახიან. საჭმლის მშვენებია სუნმა დამხნიდა.

დედა გვეუბნებოდა, ჯერ დაცადეთ, გაცივდესო, მაგრამ გვეგონა, რომ მას ჩვენთვის არ ემეტებოდა საჭმელი და სულ თავად უნდოდა შეეჭამა. ამიტომ არ გაუგონეთ, ვეცით ჯამს ჯერ მე, მერე ჩემი ძმა, რომ ჩქარა გაგვეგო, რა საჭმელი მოგვიმზადეს ბავშვებმა.

ჩაუეპი თავი შიგ და დაეპულე ჰირი ერთ დიდ ნაჭერს, მაგრამ ის თქვენს მტერს, რა სიმწარეც მაშინ გამოვცადე! ტუჩები, ენა, სასა, სულ გამოძახანსლა. ასე დაემართა ჩემ ძმასაც. ჩვენ ტირილი დავიწყეთ, ბავშვებს კი ეს სიცილიად არ ევოთ.

როცა საჭმლიდან ორთქლის ასვლა შესწუდა, დედამ ჭამა დაუწყო, თან ჩვენც მიგვიზატოცა:

— მოდით, შვილებო, ასლა გაცივებულა: ჰირს აღარ დაგვავთ!

ჩვენ სიგრთხილით დავუწუეთ ჭამა, მაგრამ გემო კი არაფრისა გავგიგია, რადგან ჰირი დადაგული გვექნდა; მხოლოდ სუნით კი ვატუობდით, რომ კარგი რამე უნდა ეოფილიყო.

მას შემდეგ, როგორც განდა კარგი სუნი უდიოდეს საჭმელს, სასამ ორთქლი ასდის, ჰირს არ ვახლებ ხოლმე; მეუო, რაც ერთხელ ჩემი უკუნურებით გამოვითუთქე ჰირი!

ამ დღიდან დედამ სახლში დაგვარჩინა და აღარც ბავშვებისაგან ჩვენს აუჯანაყე ჯავრობდა. ჩვენც მივეჩვიეთ ბავშვებს და მათი აღარ გვეძინოდა.

სამაგიეროდ, როცა ესომი გამოვედით, ახლა სხვა მტრები გავეჩინდნენ; ჩვენს დანახვაზე მამალმა ისეთი დაივიწყა, რომ გულები დაგვიხეთქა. მას მაშინვე გავერიდეთ და ღობისაკენ წავედით. იქ კრუსი თავის წიწილებს აღერსიანი სმით უკუტკუტებდა. ვიფიქრე: ეს კი ძალიან სათნო უნდა იყოს მეთქი, არა ჭკაეს იმ ახმასს, რომელიც გამოსვლისათნავე ჩხუბით შეგვხვდა! წიწილებისადმი სომ დანახვის უძალევი სიუვარული აღმეძრა. ამიტომ მიუახლოვდი მათ, მაგრამ... რაც მაშინ გადამხდა, ახლაც რომ მაგონდება, ცხსცახსა მკერის: მეცა სულ უშიხეზოდ გააფთრებული კრუსი და დამიწეო ნისკარტით თავსა და ტანში ცემა. მე საშინელი ვვირილი მოვრთე: მეკონა, ეს არის ჩემი აღსასრულის დღე დაღვა მეთქი.

ჩემ ვვირილზე მოვარდა გულ-გახეთქილი დედა და შეებრძოლა კრუსს. კრუსმა მე თავი დამხება და დედას მიუბრუნდა. საწუალი დედა! რა რიგ შემეცოდა! კრუსმა იმხსაც კარგი მწვავე-მწვავისა ჩაუნისკარბა. მასაც კარვ დღეს არ დაუბრდა, რომ თველე არ მოსულიყო და კრუსი არ გაეკდო.

ვინც ჩხუბით შეგვხვდა, იმან არაფერი დაგვიშავა, და ვინც აღერსით მიგვიღო, იმან კინაღამ სიცოცხლეს გამოგვასაღმა. ამის შემდეგ დაურწმუნდი, რომ ვინც დიდსა ვვირის, უოკელთვის საშიშო არ არის, და ვინც თვალთმაქცურად გეაღერსება—უწეხელი. ისევ სჯობია ეველას სიფრთხილით მოვექცე და მოვერიდო.

ერთხელ ჩვენ ესომი მხეხე დედასთან ვთამაშობდით. მოვიდნენ ბავშვები და ხელში აგვიუხანეს. დედა ჩვენ შემოკვტრიალებდა. ამ დროს საიდანღაც გაჩნდა ძაღლი. დედა აიძრინა, ბაღანი აებურძენა, წელში აიკუსა, კუდი ძაღლს ასწია, ბრქეალები საომრად მოიშხადა, თან საშინლად დელავდა, ეტეობოდა, რომ ძლიერ მტერთანა ჭქონდა საქმე, თან ცალი თვალი ჩვენსკენ ეჭირა: ეშინოდა, რომ ძაღლი ჩვენ არა



გვეტყობოდა. რა შეატეო, რომ ის ჩვენ უურადლებას არ გვაქცევს და მას ემიხნება, დედამ უცებ ისკუზა და იქვე ახლო მდგომ კომპის სეს ზედ მოექცა.

ეს ჰირველად ვნახე, რომ დედა მტერს გაექცა: წინად ეოველთვის შეებრძოლებოდა ხოლმე. ეტეობა, ძალდი ჩვენი მოდგმისთვის ძალიან საშიში მტერია.

მაშინ არ შესძოდა ამის მიზეზი, მაგრამ ახლა კი უველად ფერს მივხვდი: მას შურს ჩვენი კეთილი ცხოვრება. ჩვენ ჰატრონი სასლში ფუფუნებით გვინახავს, კარგად გვაჭმევს, გუფარესობს; ძალდი კი, სიცივეა თუ სიცხე, წვიმაა თუ თოვლი, სულ გარედ არის, და ჰატრონი მას აივანზე ამოსვლის ნებასაც კი არ აძლევს. ჭამაც, რომ იტევიან, სწორედ ძალდუშადური აქვს. რა ჭამაა იმისი ჭამა?! სადილს რომ გაათავებენ, გაპოსრულ ძელებს და ჰურის ნამტერევეებს გადაუერიან. მისთვის არც ხორცი, არც წვენი და არც რძე! მაგრამ ჩვენი რა ბრალია? ამაში ჰატრონს დაეძდუროს!

## II

როცა წამოვიზარდეთ, დედამ თანდათან შეგვასწავლა ბრტეალების სმარება, სესე ასვლა, სტომა, თაკეებსე, სვლიკებსე და ჰატარა ფრინველებსე ნადირობა და სსევა.

— შვილებო, ჩვენი უჰირველესი იარაღი ბრტეალებია, — გვეტეოდა ხოლმე დედა: — ამიტომ ძალიან გაუფრთხილდით, სიარულის დროს მოკაუტებული გქონდეთ, რომ წვერები მიწას არ მოხვდეს და არ დანლუნგდეს. სშირად ნუ ინძართ, ნამეტნავად მაგარ საგნებსე, თორემ დაგემტვრევათ და მოგესზობათ საშუალება გაჭირვების დროს თავის დაცვისა. სომ ჰხედავთ, წინა ფესებსე სუთ-სუთი ბრტეალი გაბიათ, ოთხ-ოთხი წინ და თითოც უკან? ეკ იმიტომ, რომ სანადირვეი კარგად ჩადლუჯოთ და არ გაგექცეთ. ეს უკანა ძესუთე ბრტეა-



ლები რომ არ გკონდეთ, თქვენი ნადირობა მეტწილად ამოდ  
ჩაივლიდა, რადგან დაჭერილი ნადირი სწორედ იმ მხარეს  
ადვილად დაამგრენდა თავს. უკანა ფეხებსე კი ოთხ-ოთხი  
ბრჭყალი გაქვთ. მეტი არც არის საჭირო, რადგან უკანა ფე-  
ხების ბრჭყალები მხოლოდ ხეზე ასვლაში ესმარებიან წინა  
ფეხების ბრჭყალებს.—გაუფრთხილდით თქვენს უღვაშებს და  
სუფთად შეინახეთ. ადამიანს თითები აქვს მაგარის და რბილის,  
ცხელისა და ცივი საგნის გასარჩევად, თქვენ კი ამას უღვაშე-  
ბის წუხლობით გაიკებთ. გასწორეთ მაშინ, ჰირველად რომ  
ბავშვებმა წვენი გაჭამეს? დაქიმითებული რომ არ მისცვიუ-  
ნოდით და მაშინვე ჰირი არ ჩაგეოთ, მიანლოვებისას თქვე-  
ნი უღვაშები გაგაგებინებდათ, რომ ის საჭმელი ძალიან ცხე-  
ლი იყო და ჰირს დაგწვებდათ. თუ გინდათ. რომ შემდეგში  
თქვენმა უღვაშებმა ამისთანა სიფათს გადაგარჩინოთ, ძალიან  
ხშირად უნდა იბანოთ ნერწყვიანი თათით, რომ მტკვრი და  
ჭუჭუი არ დაეღვას. ეურების სისუფთავეც არ დაგვიწყდეთ:  
თუ ეურებს მტკვრით გამოიტენით, სმენა დაგიძიმდებათ და  
თავების მოანლოვებას ვეღარ გაიკებთ, თუნდა თქვენგან ორი  
ნაბიჯის მანძილზე ძალაუხე გადადიოდნენ.

ჩვენც ვასრულებდით დედის დარიგებას და დღეში რამ-  
დენჯერმე ვიბანდით ჰირს, უღვაშებს, თვალებს, ეურებს.

ერთ დილას მოსიკო ჰირდაუბანელი მოუჯდა მაკიდან ჩაის  
დასალევად. თეკლემ შეურტია:

— არა გრცხვენია? ჩვენმა ფისოებმა დღეს მკონი სამჯერ  
დაიბანეს ჰირი, შენ კი ჰირდაუბანელს გინდა დალიო ჩაი! მა-  
კატგან მაინც აიღე სისუფთავის მაკალითი!

ეკვ, ბევრი, ძალიან ბევრი საჭირო დარიგება მოგვცა სა-  
წვალმა დედამ, მაგრამ ჩემს გიჟმაე თავში ბევრი არაფერი შე-  
დიოდა. თუ რამე გავიგე ქვეყნიერებისა, ისევე ჩემი გამოცდი-  
ლებით, მით უმეტეს, რომ ადრე დაყობლდი და სულ მარტოდ-  
მარტო დავრჩი.

დედა-ჩემი, ახლაც არ ვიცი, წვეული მურისას მსხვერპლი შეიქმნა, თუ სხვა რამ უბედურება შეეძინება: ერთ დილით საუხსმე კი ერთადა ვჭამეთ, მერე სადღაც წავიდა და აღარც დაბრუნებულა. ცამ ჩაულაზა თუ დედამიწამ, იმისი ველარაფერი გავიგე. ჩემი მძა მოსიკომ წაიუვანა ქალაქში, სადაც ის სასწავლებლად გაგზავნეს. დავრჩი მე ობლად.

კიდევ ვარგი, ღმერთმა იმით შემიბრალა, რომ ევაც არ გაგზავნეს ქალაქში და ჩემ მფარველად შინ დაარჩინეს. ღამე სულ თავისთან მიწვევდა. მე, რა თქმა უნდა, არ ვეურჩებოდი და, ვითომ მეც შეძინება, კრუტუნს მოვევებოდი. მაგრამ, ამოუშვებდა თუ არა ის ფუჰინვას, საბნის ქვეშიდან ფრთხილად გამოვძვებოდი და თითქმის მთელი ღამე თავკეპზე ვხადირობოდი. გათენებისას კი ისევ მივიდოდი და ევას ჩაუწვევობოდი.

დღისითაც ხშირად ამიუვანდა სოლმე ევა სელში და მუაღერსებოდა, ზოჯჯურ მაკოცებდა კიდევ თვალებში. ხან ქალაღღის ნაწერზე ძაფს შეაბამდა და ჩემ წინ გაათრეკდა. მე თამაშით უვან დავედვენებოდი, ბრტყალებში ვიჭერდი, ხან ცალი თათით ვათამაშებდი, ხან ჰირში ჩავიდებდი. ევა სინარულით კასკასებდა: იმას ეკონა, რომ ეშმაკობას ვერ უტკებდი და იმისი ქალაღღი თავკვად მიმხანდა!

ასე ვერთობოდით სოლმე მე და ევა. მაგრამ, სომ მოკეს-სენებათ, მოკლეა ადამიანის გულკეთილობა და სიუვარული! როცა მოვწეინდებოდი, ისე გადაპისროდა, როგორც ი რაღაც მრკვალი სტომია სავანი რომ არის, მკონია ბურთს ემხინან. მაგრამ ის ხომ უსულა, უგრძნობელი: იმან არ იცის, რა არის ტკივილი. მე კი... ოჰ, რა იციან ადამიანებმა, რომ მე გაცილებით მათზე მგრძნობიარე ვარ!

აი, როღის გამოძადება სოლმე ჩემი გრძელი თიფთიკა კუდი! დაცემის დროს მას ჰვარში იმკვარად ვატრიალებ, რომ

ფეხები მაშინვე ქვევით შექცევა და ამით გადავირჩენ სოღმე თავსა და ზურგს დაბეგვისაგან.

ერთი კიდევ ის შევაფრება ეკასი, რომ ძალიძალ ეურებს-ზე მჭიდებს ხელსა. ჰგონია ჩემი უურის ბიბილოებიც ისეთი უგრძობელია, როგორც მისი! მან არ იცის, რომ, როცა თავგები სოროებში თავიანთ წრუწუნებს ეწურწულებიან, მე უურებში შეღიტინება, ხელის მოჭიდებაზე სომ მთელ ტანში ისეთი ქრუანტელი მივლის და იმდენად ვდუნდები, რომ, ჩემი უებარი იარაღის, ბრჭყალების, სძარებაცკი ვეღარ მომიხერხებია.

ძალეი კატაზე გონიერად ითვლება. მე რომ მკითხოთ, ეს შემცდარი აზრია. ის ჩვენ მარტო ენოსვით გვჯობია. სმუნით ჩვენი მოდგმა ძაღლისას არ ჩამოუვარდება, მსედელოებაში სომ ჩვენი შედარებაც არ შეიძლება. მას ჭკუა ცხვირში აქვს: თუ არ შეიენოსა, ჰატრონს სუთ ნაბიჯსეც ვერ იცნობს, იმდენად ცუდად უჭრის თვალი. ჩვენ კი ძალიან გამჭრიახი თვალები გვაქვს; თანაც ბაიები ისეა მოწუობილი, რომ სინბეღეში განიერდებიან, რის გამოც კარები ღამეც ისე კარგად ხედავენ, როგორც დღისით. ესაა მიზეზი, რომ ღამე ასე მარჯვედ ვნადირობთ თავგებზე.

თუ ძალეი ჩვენ სირბილში გვჯობია, სამაკიეროდ მას ხეზე ასვლა სულ არ შეუძლია.

ერთხელ მე ბალახებში ვიუავი ჩამალული და ჩიტს ვუღარავებდი დასაჭერად. მურიამ თვალი შემასწრო: ის ამ დროს ქვევითან მოდიოდა და ეგონა, რომ მას უნდა დავტაკებოდი. სულელი! მას ჩემი ეშინია, ის კი არ იცის, რომ მის დახასვასე მთავარი მცნება მეკარგება და გული გადმოვარდნას მლამობს.

დამინახა თუ არა მურიამ, შეჩერდა, ბალახი აებურძენა, კანკალი დაიწყო, თან მოემსადა ჩემსკენ გადმოსასტომად. ის იყო, უნდა დამცემოდა თუ არა თავზე, მე ვისკუზე და ღოა

ბის ძირს მდგომ ფურცელზე ავვარდი. ჩემთვის გაღებული ზირი მურიამ ბაღასს დაავლო. მერე მოიბრინა ფურცელთან და ზედ ბლოტვა დაიწყო. უწინამც დღე გაუქრეთ ძაღლებს, რომ სესე ასვლა ვერ შეიძლონ: მაშინ სომ კატებს ქვეყანაზე აღარ გვეცნოვრებოდა!

— ფხს! ფხს!—დავუწვე მას გაგულისება:—ჭი, მოკვდი, ვერ ამოხვალ, აბა თუ ეოჩადი ხარ, სცადე და ამოდი: ისე დაგაღადრი ძაგ ბრუტიან თვალებს, რომ მთვარე დათვად მოგეჭყუნოს და ვარსკვლავები—ტურებად!

რა სულელი რამ არის უბედური! ვერ მიმხვდარა, რომ რაკი სესე ავასწარი, იმისი სესე ბლოტვა და ეეფა ამბოა. სწორედ საწეენი და სათაკილოა, რომ ძაღლი გონიერ ზირს უტევად ითვლება, კატა კი—უგონოდ.

მარტო ერთხელ მასსოვს, რომ სახლის ჰატრონმა სთქვა: არ ვიცოდი, რომ კატა ასეთი ჭკვიანი ცხოველი ეოფილაო.

მე მაშინ უკვე დედა ვიეფი და საბი შვილი მეყანდა სარდაფის კუთხეში, მწნილის ქილის უკან,

ერთ დილას ტანის ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენ, თითქოს ჰაერი საცაა ძაღლა ამიტაცებს მეთქი, თან მთელი სხეული საშინლად მიჭრიალებდა. როცა წინად ამისთანა რამე მიგრძენია, უთუოდ ჭექა-ქუხილი დაუწეია, დიდი წვიმა მოსულა და ზოგჯერ სარდაფშიც წყალი ჩამოსულა. ამიტომ, ვიფიქრე ჩემი შვილებისათვის უფრო საიმედო ბინა მომენახა.

ჩემს იღბლად ბიზნის სახურავზე კიბე იყო მიუუღებელი. ჩემი შვილები სათითაოდ ავიეყანე ძაღლა, სასათურიდან სხვესში გადავსხი და იქ დავაბინავე.

წინადგომლობამ არ მიძტუნა: საღამოთი ასტედა ისეთი საშინელი ჭექა-ქუხილი, რომ ცა და დედაშიწა სულ ზანზარებდა. მას მოჭევა კოკისპირული წვიმა. მთებიდან წამოსული წვიმის წყალი მოედო ეზოებს და ბევრ სახლში შევარდა. ჩემს

პატრონსაც სასლი წულთ აევისო. ცოლძვილის გადასარჩენად სხვენის კარებს კიბე შიადუდა და ეველანი მძლა ამოვიდნენ.

პატრონმა რომ ძე და ჩემი კნუტები დაგვინახა, განცვიფრდა და თეკლეს ჰკითხა:


— ადამიანო, ამ კატას სომ სარდაფში ჰქონდა კნუტების ბინა და ჰხედავ ეს ჩვენსე წინ ამობარგებულა! ნეტავ საიდან ამოვიდა ამ ნიაღვარში?

— დილას ძე დავინახე, რომ კიბესე სათითაოდ აიუვანა კნუტები აივნის სასურავსე, — უპასუხა თეკლემ: — აღბად აქ მოა ჰქავდა.

— დასე! — სთქვა პატრონმა: — კატა იმდენად კონიერი ეო ფილა, რომ დილითვე მიხვედრილა, რაც საღამოთი უბედურება მოკველოდა! ვინ იფიქრებდა ამას?!

ძე რომ მკითხოთ კი, აქ საკვირველი არაფერია: კაცს იმიტომ ვგონივართ უცონო, რომ ჩვენი ენა მას არ ეეურება და არც ჩვენ სნესა და ცსოვრებას ადევნებს თვალ-ეურს. სოლო თუ ვინძე დაგვაკვირდება, ჩვენს კონიერობაში ეჭვს აღარ შეიტანს.

დ. მუხამაძე





# ნაკადული



მოღუგულუბებე,  
 მოჩუხჩუხებე,  
 ნაწო,  
 ანცო  
 ნაკადულო!

ბაღ-მინდორის,  
 უხნავ კორდის,  
 მთისა,  
 კლდისა  
 სისხარულო!

მოჩქრიდალევე,  
 მოცქრიდალევე,  
 შისისა  
 სხივისა  
 რომ შეკუნარი.

ღვინით სავსევე,  
 მოკისკასევე,  
 ტირის,  
 ჩივის  
 დაბლა ბარი:

ვადაშხმარი,  
 ვადაძწვარი  
 არე-  
 მარე  
 შენ მიგვლის!

ხაურბინე,  
 დაურბინე,  
 ცვარი,  
 ღვარი  
 მას უშეგლის...



## ბედის მამიებელი წუალობა



ზღაპარი

I

ყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი კაცი, სახელად წუალობა. იგი იყო ახალგაზდა, ჯანდონით საკსე, მაგრამ ძალზე უიღბლო. სასულიც, თითქოს განკვებ, დაცინვით ერქვა „წუალობა“. რა საქმესაც კი მოჰკიდებდა სელს, უველასე ღმერთი უწერებოდა. ოჯახი კი შესანასი ჰქვავდა. თუძვა მისი გამრჯელი ცოლი უფუფ და ჰაწია ექვსი წლის ვაჟი ბიბილო ბევრს არაფერს მოითხოვდენ, მაგრამ მაინც ადამიანის შვილნი იუვნენ. ბევრი იფიქრა წუალობამ და ბოლოს გადასწევიტა მკალობელ ფრინველთა ჭერადვიდვის სელობას მოჰკიდოს სელი. ასსენა ერთ მშეენიერ დღეს ღმერთი, აიღო აკანათი და გაუღვა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა წუალობა სამ ტეეს. მოატანა მოსვენების დრომაც, მაგრამ წუალობას ძილი არ ვკარება. ჰინათული მთვარე შიკ თვალეში მისხერებია და ახალგაზდა წუალობა მოსუცად უქცევია. უცქერის კაოცებული წუალობა თავის თმებს და თვალთ ეკითხება მთვარეს:

— რა დაგიძავე, შე კურთხეულო, რომ ასე ძალე დამაბერე?

ნამძავებული ტეე დაბალი სმით უძღერის წუალობას ნანას. მაგრამ ამაოღ: ტეის ტევრში კაისმის ბუღბულის ციუ-

რი სიმღერა. მადლით მოსილი შვილი ბუნებისა, იგი ჭქმის თავის ჭანგს თავისუფლად, მაგრამ აი!.. უცებ შესწუდა მისი სიმღერა და სწორედ იმ დროს, როდესაც უმაღლეს მწვერვალს მიადწია.

მიხვდა წებლობა: სიმღერით კატბცებული მკონხნი გაუბა აკანათში. წებლობა მსწრაფლ მივიდა და როცა დარწმუნდა, რომ ჩიტუნა გასლართულა, წაატანა ხელი, მაგრამ ამ დროს ბუღბუღმა ადამიანურად დაილაპარაკა:

— წებლობა! მანუქე თავისუფლება, და სამაგიეროდ მე კასწავლი ისეთ წამალს, რომელიც ბედს შეკუმენს. ან რას მოგცემენ ხემში, ჰაწია და უღამასო ჩიტუნაში!

წებლობამ იფიქრა და ბოლოს განთავისუფლა ჰატარა ტყვე. ჩიტუნამ შემოჰკრა ფრთა-ფრთას და გაჭქრა. ჰატარა ხანს უკან მართლად დაბრუნდა, ნისკარტში ფოთოლი ეჭირა, მიაწოდა ფოთოლი წებლობას და უთხრა:

— გამომართვი! ამ ფოთოლს ისეთი თვისება აქვს, რომ, ვინცკი მის გემოს ნახავს, იმ წამსვე სიმღერის ნიჭი აღმოაჩნდება. მას ჭქვია ბუღბუღის ენა.

სთქვა რა ეს ბუღბუღმა, იფრთხილა და გაჭქრა ტვის ტვერში. წებლობამ გასინჯა უბრალო ფოთოლი ეჭვის თვალით, შეინახა და გამოემურა შინისკენ.

მოვიდა თუ არა სახლში, მამინათვე სინჯა ფოთლის ძალა და,—მეხე ბედის ცვალებადობას,—ისეთი მომღერალი შეიქნა, რომ მისი ცალი მთელ სახელმწიფოში არ მოიპოვებოდა. დიდი სახელი მოიხვეჭა მოკლე ხანში წებლობამ, მაგრამ ამ სახელმა მისი მშვიდობა შთანთქა: ვაი თუ ეელი გავიციე, ვაი თუ ხმას ძალა დაუატანე! და ერთ დღეს, როდესაც წებლობას საკმაოდ მოჭებურდა ხმის დაცვა, გამწარებით წამოიძახა:

— გამწენო დმერთო! რა ჭირად მინდა ისეთი ნიჭი, რომელიც სინარულს ტანჯვით მომიშნამავს!

სთქვა თუ არა ეს წებლობამ, მაშინათვე დაჰკარგა მისი ღერლის ნიჭი. თურმე, სუ იტყვიოთ, ფოთოლი იმწამსვე ძალასა ჰკარგავდა, როგორც კი მფლობელი მისით უკმაყოფილებას გამოაცხადებდა. ბევრი ინანა წებლობამ, მაგრამ რას გააწუბდა. დიდხანს იფიქრა და ბოლოს გადასწევიტა, მონახოს როგორმე ბუღბუღი და გამოსთხოვოს ხელახლად საძინო ფოთოლი.

## II

ბევრი იარა თუ ცოტა, შემოეუარა ბოლოს წებლობა გზაზე გველს. ის იყო წებლობა აპირებდა დაეკრა მისთვის თავში ვეება კეტი, რომ გველმა ადამიანურად დაილაპარაკა:

— წებლობ! რას მოგიმატებს ჩემი სიკვდილი! გამოძაროვი, გირჩეუნია, ეს კბილი, რომელიც მის ჰატრონს დიდ ჭკუას ანიჭებს!— ამ სიტყვებთან ერთად გველმა მოძრო კბილი და გადასცა წებლობას.

თვალის დასამხამებამი შეიცვალა წებლობა, მის თავში დატრიალდა სხვა-და-სხვა ღრმა ფიქრი: რამდენ მანძილს გაივლის დედამიწა მზის გარშემო ერთი საათის განმავლობაში, ან რა მიზეზისა გამო მატულობს და კლებულობს ზღვა.

წებლობა დაბრუნდა სასლში და გაკვირვებული დარჩა: მას ელოდნენ იქ სხვა-და-სხვა მეცნიერ-სწავლულნი. გაჩაღდა ცხარე კამათი, რომელშიაც წებლობამ დიდი ჭკუა და ცოდნა გამოიჩინა. გამოესალმნენ მეცნიერნი წებლობას, აივსნენ შურით და გადასწევიტეს მისი დაღუჭვა. მივიდნენ ხელმწიფესთან და მოახსენეს, რომ ქალაქში სცნოვრობს ვინმე წებლობა, რომელიც თავის თავს მეცნიერად აცხადებს და თვალს უსკვევს ბნელ ხალსა, ნამდვილად კი იგი მისანი და ავსულთა მოციქულიაო. თუ ხელმწიფე მის წინააღმდეგ არ მიიღებს სასტიკ ზომებს, დაღუჭავს მთელს სახელმწიფოსაო.

მაშინათვე გაკზავნა ხელმწიფემ მდევარნი: წებლობა მოძიებანეთ, და მე თვითონ გამოვცდიო.



მოჭკვარეს წვალობა სელმწიფეს. სელმწიფემ დაუწყო მან  
კამოკითხვა და დარწმუნდა, რომ წვალობა უბრალო მომაკე-  
დავია, მეტიც, სრულიად გაუნათლებელი ეოჟილა. გაურისხდა  
მეფე მეცნიერ-სწავლულებს ბ განათავისუფლა წვალობა. თურმე,  
ნუ იტყვიო, წვალობას გზაში დაეკარგა გველის კბილი და მასთან  
ერთად გამქრალიყო მეცნიერებაც. ბევრი ინანა წვალობამ, მაგრამ  
რას გააწუობდა? დიდხანს იფიქრა და ბოლოს გადასწვიტა:  
გამონახოს გველი და გამოსთხოვოს ისევ სამისნო კბილი.

### III

ბევრი იარა თუ ცოტა, შემოეყარა ბოლოს წვალობა არწივს.  
დაუძინა ისარი და ის იყო აპირებდა გაეკპირა მისთვის  
კული, რომ არწივმა აღაშინა ის ერთ დღეაპირა.

— წვალობა! ნუ დაღვრი ტუეილ-უბრალოდ ჩემ უდანა-  
შაულო სისხლს! აჰა! კამომართვი ეს ფრთა და იგი მენ ზოე-  
ტად გარდაეკქნის! — ამ სიტყვებთან ერთად ფრინველთა მეფემ  
გადასცა წვალობას თავისი ფრთა, შედიდურად შემოტრიალდა  
და გაეშურა მთის ჭაღარა-მოსილ მწვერვალისაკენ.

უცებ იცვალა წვალობა: მის თავში დატრიალდა ლექსთა  
ჩარხი, რითში. მოკლე ხანში მოიხევეჭა მან სასოცადობაში  
სახელი, დიდება და ზატევი. ეველას, დიდსა და ზატარას, წვა-  
ლობას სახელი ევერა ზირსე, ეველა ღვთის მოციქულად სთვლი-  
და მას, თუმცა სახლში შიმშილი და სიღარიბე უშსამავდა  
სიცოცხლეს. მაგრამ არც მისი ზოეტობა იყო ხანგრძლივი.  
ერთსელ, როდესაც ფეფე უსწორებდა ქმარს ტანსაცმელს, მის  
ჯიბეში აღმოჩნდა არწივის ფრთა.

— რა უცნაურია ეს წვალობა; რასაც კი დაინახავს, ევე-  
ლაფერს ჯიბეში იკრავს! — სთქვა გაკვირვებულმა ფეფემ და ნა-  
გავს განუოლა ფრთა. რა იცოდა, რომ სწორედ ამ ფრთის  
მეოხებით ზოეტობდა წვალობა.

ბევრი ინანა წვალობამ, მაგრამ რას გააწუობდა. დიდ ხანს  
იფიქრა და ბოლოს გაეშურა ისევ კისისაკენ ბედის სამებრად.

## IV

ბეერი იარა თუ ცოტა, წუალობა ერთ მდინარეს შიადგა. გაიფიქრა: ბარემ ვითუეზავებ, ეკებ ბეღმა კაშილიძოს. აღსენა ღმერთი და კადისროლა ბადე. მოჭევა ვეება თუესი. ის იყო წასწვდა წუალობა თუესს, რომ თუესი იქცა მშუენიერ ფერიად და შეევედრა წუალობას:

— წუალობ, ნუ მოძისზობ სიცოცხლეს, და საბაგიეროდ მოგცემ საოცარ სარკეს: ჩაიხედავ შიგ და ლაბაზ კაცად იქცევი! აჭა, გამოძართვი!—ამ სიტუეებთან ერთად ფერიამ გადასცა წუალობას საუცსოო სარკე და ისევე ტალღებში გაჭქრა.

წუალობამ აქვე გამოსცადა სარკის ძალა: ჩაიხედა შიგ და იმ წამსვე ისეთ ლაბაზ კაცად იქცა, თითქო კაღმით იუოს დასატულიო. ქმრის ცვალებამ ძლიერ გაბაკვირვა და ასიამოვნა ფეფე, მაგრამ ძალე დაბღონა კიდევ. იმის შემდეგ წუალობა გადიდგულდა და ოჯახისათვის სრუნვას შიანება თავი. წუალობას სილაბაზის აბაემა თვით მეფის კარბდისაც კი შიადწია. ნახა თუ არა სელმწივის ქალმა წუალობა, მოეწონა და შონდობა ცოლად წაჭეოლოდა. მაგრამ თავკასულმა წუალობამ ეური არცკი ათსოვა შას. მეფეს ეწეინა და უთუოდ წუალობას თავს უბედურება დაატედებოდა; მაგრამ ამ დროს შან სილაბაზე დაჭკარვა.

წუალობა სასლში არ იყო, ფეფე ცრემლისაგან დასიებული თვალებით, შარტოღა-შარტო, წინდით სელში აბოღ ელოდა ქმრის დაბრუნებას. ამ დროს შას მეზობელი ქალი ეწეია.

— ქალო, რა დაეკაბრთა! აბდენი კუნვსა და ტირილი! ღმერთია მოწუალე, შიმშილით არ მოკედები!—მიჭმართა შან თანაგრძნობით ფეფესა.—აბა ერთი ჩაიხედე სარკეში რას დაეშვაგსე ამ ბოლო დროს!

ფეფე დაფაცურდა და წააწედა ფერიას სარკეს, რომელიც შემთხევეით დაეიწეებოდა წუალობას. ძლიერ ეუცხოვა ფეფეს

ასეთი ნაპოვნის და აუკანკაღდა სელი. სარკე იატაკზე და  
და ნაკუწ-ნაკუწად იქცა. ამ დროს წეალობამ შემოაღო კარი  
თავის სასლისა. ეს ისევ ადრინდელი წეალობა იყო: თურმე,  
ნუ იტყვით, ფერიას სარკის დამტვერევა უბრუნებდა ჰატრონს  
ძველ სახეს. ბევრი ინანა წეალობამ, მაგრამ რას იზამდა.  
გაუდგა ისევ გზას ბედის საქმეებელად.

## V

ბევრი იარა თუ ცოტა, შემოეუარა ბოლოს წეალობა ერთ  
ღრმა მოსუცებულ ადამიანს.

— გზა მშვიდობისა, ჰატეცემულო! საით მიხვალ?— მიე-  
სალმა წეალობა.

— სიკვდილს ვეგებები! შენ საითღა, ახალგაზდა?

— ბედს დავეკებ, ბედსა!

— რაო? ბედსა? სასლი ოქრო-ვერცხლითა გაქვს გატე-  
ნილი, შენ კი ქვეყნად ეკებ ბედსა! იუაე მშვიდობით!— მიახალა  
მოსუცმა წეალობას და მიანება თავი.

განცვიფრებული წეალობა დიდ ხანს იდგა გაშეშებული;  
და ბოლოს, როგორც იყო, გონს მოვიდა.

— იქნება მართლა მქონდეს სასლი ოქრო-ვერცხლით საგ-  
სე!— გაიფიქრა მან.— განა ასევე მოულოდნელად არ შევიქენი  
მომღერალი, მეცნიერი, ჰოეტი? რა იცოდა, რომ მოსუცის  
სასით მას წარმოუდგა თვით ემპეკი და ოქროთი მოისუიდა  
მისი სული!

გამობრუნდა წეალობა სასლში. ველარა სცნობს სასლსა:  
ფიცრული შენობა— მარმარილოს სასახლედ ქცეულა. წინ და-  
უსვდა ფეფე, ფარჩის კაბაში გამოწეობილი. მიხედ-მოიხედა  
წეალობამ— ეველგან ბროლი, ოქრო, ვერცხლი, აბრეშუმი და  
კმაყოფილება.

— გაიკითხეთ გლახაკი, წერილშვილის ჰატრონი, აგრემც  
გწეალობდეთ სეციერი!— მოისმა ღია ფანჯარასთან მათხოვრის  
საცოდები სმა.

— ბიჭო, შე რეკვენო! რამდენჯერ მითქვამს შენთვის, არ შემოუშვა-ამეთქი გლახა ეზოში!— გაისმის წებლობას კაცთ-მოძულე სმა.

დაღამდა. ვველა ეძლევა მიღსა. ერთადერთი წებლობაა მოსვენებას მოკლებული: წამ-და-უწუმ სტება ფესზე და სმე-ნად იქცევა, სომ არ იზარებიან ქურდები მის მოსაკლავად და ოქროს წასადებად.— ვერა, ვერ აიტანს ამას! განა იმისთვის უაინათობს წვრილმანშიაც კი, რომ ერთ საათში დაჭკარვოს ამოდენა ტანჯვით შენახული ავლა-დიდება!— არა, არ დაგანე-ბებთ!— ვვირის წებლობა და გულწასული იატაკზე დაეცემა. იღვიძებს ფეფე, მიაშურებს წებლობას მოსაბრუნებლად.

— ფუ, ეშმაკსაც წაუღია ამისთანა ქონება! დაწვევლილია ღვთისაგან, თუ როგორაა?— წამოიძახებს ფეფე, როდესაც ძლივ-ძლიობით მოაბრუნებს გულწასულ წებლობას.

საკმარისი იყო: ამ სიტყვებთან ერთად გაჭქრა უცბად წებ-ლობას სიმდიდრე. დიდხანს უუურებდნენ განცვიფრებული ფეფე და წებლობა ძველ, კარგად ნაცნობ ავეჯს, ნაცნობ ფიცრულს. ბოლოს გადიწერეს ჰირჯვარი და დაუმორჩილდნენ თავის სვედრსა.

წებლობა აღარ გაუდგა გზას ბედის სამებნელად, რადგან ბედმა განცხრომასთან ერთად ბევრი ტანჯვაც მიაყენა: მოძღუ-რალი იყო, — სმის დაკარგვისა ეშინოდა. ბრძენი იყო, — ადა-მიანის შურმა კინაღამ დაღუპა; ჰოეტი იყო, — სიღარიბე გულს უწუსებდა; ღამაში კაცი იყო, — სიამაყით გაიმსჩვებდა; გამდი-დრდა და ადამიანის სიუვარული დაჭკარვა.

წებლობა აღარ უნივის ასლა თავის ბედს. ღმერთიც სწებ-ლობს მას, მოესწრო შვილი ბიბილოც და ცხოვრობს კმა-ყოფილი მამა ცოლშვილით ტკბილად და ბედნიერად.

ჭირი იქა, ღსინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

ორი ვაძლი მქონდა: ერთი მთქმელს, ერთი მსმენელს.



# აკროსტიკისი

(წარმოდგენილია დ. კლიაზიშვილის მიერ)

ნეტავი შენა ილიკო,  
 ადრე ამდგარსარ დილითა;  
 კარებით ბაღში შესულსარ,  
 ავსებულ რომ არს ხილითა.  
 დამჯდარსარ მწვანე მდელოზე,  
 უუსრებ გაშლილ წიგნსაო,  
 ღამძას ლექსებს მკითხველებს  
 იქა კითხულაბ შეგნსაო.



# რეპრესია

(წარმოდგენილია დ. კლიაზიშვილის მიერ)

ე, ე,



ი  
 ხეში მშობ-  
 ლების ქა-  
 ლიშვილი,



ქალის  
 სახე-  
 ლი



მე-13 №-ში მოთავსებულ რებუსის აღსნა:  
 პატარა წვიმა მოვიდა, დიდი მიხდარი დანამა.

6/121  
1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“—**30**

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურნალი გამოდის თვეში ორჯერ

**24** წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნილი კი **6** მან. ნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნილი 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი—**3** მან. გაგზავნილი 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12** წიგნი—**3** მან. გაგზავნილი 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისილით, ერთი თვის განმავლობაში გეაქნობონ და აღრესის გამოცვლა დროზე შეგვაცუბინონ. აღრესის გამოსაცვლელად—**40** კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახელი ვოლოვიჩის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ისილდორე კეიკარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიშვილთან. ბათომში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან უპრაფაში. ოზურგეთში ტ. ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—მარიამ ნაკაშიძესთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. ჭიათურაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. ჭავჭავაძისთან. მიხაილოვოში—გიორგი ნაკაშიძესთან. ყვირილაში—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.